# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

# ბრძანება №37/ნ
# 2013 წლის 11 მარტი

# ქ. თბილისი

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურობის კანდიდატების მოსამზადებელი კურსების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $48^1$ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურობის კანდიდატების მოსამზადებელი კურსები დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი | გიორგი მარგველაშვილი |

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურობის კანდიდატების მოსამზადებელი კურსები

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურობის კანდიდატების მოსამზადებელი კურსები შედგება შემდეგი თემატიკისაგან:

ა) ეფექტური კომუნიკაცია;

ბ) ასაკობრივი ფსიქოლოგია;

გ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;

დ) სისხლის სამართალი;

ე) ადამიანის უფლებები;

ვ) პირველადი სამედიცინო დახმარება;

ზ) ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება;

თ) საჯარო სკოლის სტრუქტურა;

ი) სამოქალაქო თავდაცვა;

კ) ინფორმატიკა;

ლ) საქმისწარმოება;

მ) ნარკოტიკული საშუალებები.

ნ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის

დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანება;

ო) ,,საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის  ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 27 მაისის №92/ნ ბრძანება;

პ) საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“;

ჟ) სკოლის კონფლიქტური სიტუაციების მართვა.

შენიშვნა:

მანდატურობის კანდიდატების მოსამზადებელი კურსების ჩატარებას ორგანიზებას უწევს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.